



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

სატრანსპორტო ლოჯისტიკა

ქუთაისი – 2011

1. პროგრამის სახელწოდება - სატრანსპორტო ლოჯისტიკა ;
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ინჟინერიის მაგისტრი სატრანსპორტო ლოჯისტიკაში;
Master of Engineering in Transport Logistics;
3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 კრედიტი (1 კრედიტი – 25 საათი) სულ 3000 საათი;
4. სწავლების ენა – ქართული;
5. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი –

პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო სფეროსთვის ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაღრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობა ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-სამმართველო და პედაგოგიური საქმიანობა.

პროგრამა უზრუნველყოფს სატრანსპორტო ლოჯისტიკაში ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების საბაზო მომზადებას, რომელთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებათა ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა კონკრეტულ ბიზნეს გარემოში.

კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებია:

1. ტვირთების და მგზავრთა ნაკადების უნი, მულტი, ინტერმოდალური და კომბინირებული გადაზიდვებით დასაქმებული სატრანსპორტო, გადამზიდავი, ექსპედიტორული და სატრანსპორტო ლოჯისტიკური ფირმები;
 2. სატრანსპორტო საშუალებების საფირმო მომსახურების და სადღეღამისო სერვის ცენტრები, სალიზინგო, სადილერო და სადისტრიბუციო საწარმოები;
 3. საწვავ-საცხებები მასალების სადისტრიბუციო ფირმები , გასამართი სადგურები;
 4. საპატრულო პოლიციის და ავტოსაგზაო შემთხვევების საექსპერტო სამსახურები;
 5. ტრანსპორტის სადაზღვევო კომპანიები;
 6. ქალაქების სატრანსპორტო დაგეგმარებისა და მოძრაობის ორგანოზაციის განყოფილებები;
 7. შსს-ს მომსახურების სააგენტოები;
 8. ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიები;
 9. პედაგოგიური საქმიანობა ტრანსპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამებში.
6. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სამაგისტრო პროგრამაზე შემსვლელს უნდა გააჩნდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (ტრანსპორტის, ბიზნესის ადმინისტრირების, ინფორმატიკის და სხვა) დამადასტურებელი

სახელმწიფო დოკუმენტი და საქართველოს მოქალაქეებისათვის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, (ან ექვივალენტური დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სახელმწიფოებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში) რომელიც ანიჭებს მას უფლებას ჩააბაროს მისაღები გამოცდა სპეციალობაში.

7. სწავლის შედეგები – ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელს შესწევს უნარი გამოიყენოს პროფესიული ცოდნა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების მართვის საშუალო და მაღალ დონეებზე წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, სხვისი მითითებების გარეშე უხელმძღვანელოს ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს და აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა შესასრულებული სამუშაოს ეფექტურად წარმართვაზე. აქვს ჯგუფთან ერთად სამოღვაწეო სფეროში ექსპერიმენტული-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის და ჩატარების უნარი; შეუძლია დაკვირვებების პირობების აღწერა და მონიტორინგის შედეგებზე გონივრული დასკვნის გამოტანა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრების მოდერნიზაციის და ექსპლუატაციის პროცესში; სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემის ოპერატიული მართვის მეთოდის და პროგრამის შემუშავება; სატრანსპორტო სისტემების და ქსელების ფუნქციონირების იმიტაციური და მათემატიკური მოდელების შედგენა და მათი გათვლებით მიღებული გადაწყვეტილებების ტექნიკური დასაბუთება.

უმაღლესი განათლების II საფეხურის (მაგისტრატურის) კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.</p>	<p>ფლობს სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პროცესების განვითარების პროგნოზირებისა და მათი მდგომარეობის შეფასების მეთოდებს სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციული განვითარების პოტენციურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.</p> <p>აქვს უნარი საპროექტო საქმიანობისადმი პროფესიულ სფერო-ში, იცის მიწოდებათა ერთიანი ჯაჭვის ლოჯისტიკური მენეჯმენტის პრინციპები, რომლებსაც წარმატებით იყენებს სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის სფეროში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად.</p> <p>კარგად ფლობს ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების აგების და მართვის პრინციპებს</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მოდგომების გამოყენებით.</p>	<p>შესწევს უნარი მეცნიერულად გააანალიზოს ტრანსპორტის სფეროს პროცესები და პრობლემები, შეუძლია გამოიყენოს შესწავლილ მეცნიერებათა მეთოდები პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დონეზე სატრანსპორტო მომსახურების მაღალი ხარისხის და ეფექტურობის მისაღწევად.</p> <p>ესმის ბუნების შემეცნების თანამედროვე მეცნიერული მეთოდების შესაძლებლობები და ფლობს მათ იმ დონეზე, რაც საჭიროა პროფესიული ფუნქციების შესრულების პროცესში წარმოქმნილი პრაქტიკულ-სამეცნიერო შინაარსის მქონე ამოცანების გადასაწყვეტად.</p> <p>შეუძლია დამოუკიდებლად ააგოს და გამოიყენოს მოდელები ტექნიკურ-ინტელექტუალურ სისტემებში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენათა აღსაწერად და პროგნოზირებისათვის, განახორციელოს</p>

		<p>მათი ხრისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი.</p> <p>ფლობს ინფორმაციის მოძიების, შეკრების, სისტემატიზაციისა და გამოყენების ჩვევებს, პრაქტიკულად გამოიყენებს კომპიუტერული ტექნიკის და კომუნიკაციის ტანამედროვე საშუალებებს სამუშაოთა ორგანიზაციის პროცესში.</p>
დასკვნის უნარი	<p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.</p>	<p>უნარი აქვს იპოვოს რთულ ამოცანათა გონივრულად და სწრაფად გადაწყვეტის გზები; უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, მაშინაც კი თუ განიცდის ინფორმაციის სიმწირეს, ინოვაციური სინთეზით ძალუძს დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და არასტანდარტული პრობლემების მოგვარება.</p> <p>შეუძლია დაამუშაოს სამმართველო გადაწყვეტილებათა ვარიანტები და შეარჩიოს ოპტიმალური არჩევანი გამომდინარე სატრანსპორტო გადაზიდვების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების კრიტერიუმიდან.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>	<p>დაუფლებულია ანალიტიკური აზროვნების კულტურას, იცის მისი ზოგადი კანონები, შეუძლია წერილობით და ზეპირ მეტყველებაში როგორც ქართულ ასევე უცხოურ ენებზე სწორად /ლოგიკურად/ ჩამოაყალიბოს მისი შედეგები. ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად ზრუნავს აკადემიური პატიოსნების ზოგადსაკაცობრიო პრინციპების დაცვასა და მათ საზოგადოებაში დამკვიდრებაზე.</p> <p>აქვს უნარი მეცნიერულ საფუძველზე მოაწყოს თავისი შრომა, ფლობს მის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებული ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და დამუშავების (რედაქტირების) კომპიუტერულ მეთოდებს.</p>

სწავლის უნარი	სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.	მეთოდურად და ფსიქოლოგიურად მზად არის თავისი პროფესიული მოღვაწეობის სახეობისა და ხასიათის შეცვლის შემთხვევაში დამოუკიდებლად წარმართოს თვითგანათლების პროცესი და შეიძინოს მზაობა ახალ სტრატეგიულ პროექტებზე მუშაობისათვის; სურვილის შემთხვევაში სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების ბოლო საფეხურზე – სადოქტორო პროგრამაზე.
ღირებულებები	ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა	აქვს წარმოდგენა შეგნების არსზე, მის ურთიერთობაზე შეუგნებლობასთან, საქციელში შეგნებისა და თვითშეგნების როლზე, ადამიანურ კავშირსა და საქმიანობაზე, თავისი მმართველობითი თუ პედაგოგიური მოღვაწეობით განუხრელად ზრუნავს ღია სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრის – ღირსეული პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

8. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების ფორმები:

- ლექცია;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ჯგუფში მუშაობა;
- სასწავლო პრაქტიკა ;
- საწარმოო პრაქტიკა.

სწავლების მეთოდები:

- თეორიული მასალის გადაცემა, კითხვა-პასუხის სესია, დისკუსია, კვლევითი ჯგუფი, დებატი, საქმიანი თამაშები, ბიზნესსიმულაციები, ჯგუფური განხილვები, პრაქტიკული სიტუაციების გარჩევები და პროექტის შემუშავება.

სწავლის მეთოდები :

- სააუდიტორიო მუშაობა – ლექციებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დასწრება; სალექციო მასალის და საშინაო დავალების მომზადება, პრეზენტაციების მომზადება, ბიბლიოთეკაში მუშაობა, სარეიტინგო შეფასებისთვის მზადება; რეფერატის , საკურსო სამუშაოს (გეგმარის)ანგარიშის მომზადება, პორტფოლიო, დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს , პროექტის ან მოხსენების პრეზენტაცია, კონფერენციებში მონაწილეობა.

9. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;

თითოეულ კურსში სტუდენტის შეასება ხდება არანაკლებ სამი კომპონენტით, რომელთაგან ბოლო არის დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდა არ ფასდება 40 ქულაზე მეტით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

შეფასება შესაძლებელია მოხდეს სარეიტინგო ტესტირებების, საშინაო დავალებების შესრულების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების, ნაშრომების პრეზენტაციით და სხვა კომპონენტების მიხედვით.

შუალედური შეფასებების ჯამური ქულა შეადგენს 60-ს.

შემაჯამებელი სარეიტინგო წერა ტარდება მეთექვსმეტე კვირაში, მისი მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა.

- შემაჯამებელ გამოცდაზე ქულების მინიმალური ზღვარი (დადებითი შეფასება) არის 15.
- შემაჯამებელ გამოცდაზე 15-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება FX -ით (ვერ ჩააბარა) თუ შეფასების ყველა კომპონენტში მისი ქულების ჯამი არის 41 და მეტი. ამ დროს მას მიეცემა განმეორებით შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება.

- შემაჯამებელ გამოცდაზე 15-ზე ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტი შეფასდება F -ით (ჩაიჭრა) თუ შეფასების ყველა კომპონენტში მისი ქულების ჯამი არის 41 -ზე ნაკლები. ამ დროს მან საგანი უნდა გაიაროს თავიდან.
თუ საპატიო მიზეზის გამო გამოტოვებულია შეფასების რომელიმე კომპონენტი გადაბარების უფლებას იძლევა ფაკულტეტის დეკანი.

სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები შემდეგია:

1. 90 ქულაზე მეტი - ფრიადი (A);
2. 81-90 ქულა - ძალიან კარგი (B);
3. 71-80 ქულა - კარგი (C);
4. 61-70 ქულა - დამაკმაყოფილებელი (D);
5. 51-60 ქულა - საკმარისი (E);
6. 41-50 ქულა - ვერ ჩააბარა (FX), (უფლება აქვს ხელახლა გავიდეს გამოცდაზე);
7. 41 ქულაზე ნაკლები - ჩაიჭრა (F), (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

1. სასწავლო გეგმა

N	სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება	საგნის კოდი	სააუდიტორიო და დამოუკიდ. მუშაობა									სათეზის განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით					
			სულ	ლექცია	პრაქტიკული	ლაბორატორიული	დამოუკიდებელი	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი		
								I სემ.	II სემ.კ	III სემ	IV სემ.	სულ	I სემ		II სემ		
													12	15	15	15	
	მოდული 1. მიწოდებათა ჯაჭვის მართვა																
1.	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები – I	QTM0410	187,5	24	24	12	127,5	7,5				7,5	5				
2.	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები - II	QTM0420	250	30	30	30	160		10			10		6			
3.	სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი	QTM0430	125	15	30		80				5	5					3
4.	მულტიმოდალური გადაზიდვები	QTM0440	250	30	30	30	160				10	10					6
5.	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	QTM0450	250	30	30	30	160			10		10			6		
6.	აუტორსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში – I	QTM0460	125		15	30	80		5			5		3			
7.	აუტორსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში - II	QTM0470	125		15	30	80			5		5			3		
	მოდული 2. ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები საგზაო მოძრაობაში																
8.	სამარშრუტო ორიენტირების სანავიგაციო სისტემები	QTM0480	125	12	12	12	89	5				5	3				
9.	სატრანსპორტო ნაკადების თეორია	QTM0490	250	30	30	30	160		10			10		6			
10.	საგზაო მოძრაობის მოდელირება		125	15	30		80				5	5			3		
10.	საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	QTM0500	250	30	30	30	160			10		10			6		

11.	მომრავლის ავტომატიზირებული მართვა	QTM0510	125	15	30		80			5		5			3	
12.	საგზაო სატრანსპ. შემთხვევების კომპლექს. ანალიზი	QTM0520	250	30	30	30	160				10	10				6
13.	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა-1	QTM0530	62,5		12	12	38,5	2,5				2,5	2			
14.	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ინფორმაციული უზრუნველყოფა-2	QTM0540	125		15	30	80		5			5		3		
	ყველა მოდულისათვის სავალდებულო კურსები															
15.	პედაგოგია და ფსიქოლოგია	PPM0010	62,5	18			44,5	2,5				2,5	1,5			
16.	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	QAM0020	125	30	15		80		5			5		3		
17.	მათ. მოდელირება ინჟინერიაში	QAM0010	125	30	15		80		5			5		3		
18.	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა	QTM0150						5	5	10	10	30				
19.	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	QTM0160	125		45	80				5		5			3	
20.	სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა	QTM0170	125		45	80					5	5				3
	არჩევითი კურსები (პირველ სემესტრში აირჩევა 15, ხოლო მეოთხეში 5 კრედიტი)															
21.	სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	QTM0200	125	12	24		89	5				5	3			
22.	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები	QTM0010	125		12	24	89	5				5	3			
23.	უცხო ენა	HEM0010	125		36		89	5				5	3			
24.	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები	NIM0010	125			36	89	5				5	3			

25.	ტრასეკა და ევრაზიის სატრანსპორტო სისტემები	QTM0210	125	12	24		89	5				5	3			
26.	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მენეჯმენტი	QTM0190	125	15	30		80				5	5				3
27.	სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი	QTM0180	125	15	30		80				5	5				3
28.	ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები		125	15	30		80				5	5				3
29.	სულ თითოეული მოდულისათვის:							30	30	30	30	120				

11.2. სწავლის შედეგების რუქა

№	კურსის დასახელება	გასავითარებელი კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები – I	+		+		+	
2	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები – II	+		+		+	
3	სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი	+		+		+	
4	მულტიმოდალური გადაზიდვები	+	+	+			
5	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	+		+		+	
6	აუტსორსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში – I	+		+		+	
7	აუტსორსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში - II	+		+		+	
8	სამარშრუტო ორიენტირების სანავიგაციო სისტემები	+	+			+	
9	სატრანსპორტო ნაკადების თეორია	+	+			+	
10	საგზაო მოძრაობის მოდელირება	+	+		+		
11	საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება		+		+		+
12	მოძრაობის ავტომატიზირებული მართვა	+	+				
13	საგზაო სატრანსპ. შემთხვევების კომპლექს. ანალიზი	+	+	+		+	
14	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე – I	+		+			+
15	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე - II	+	+			+	
16	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	+	+		+		
17	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	+	+	+			
18	მათ. მოდელირება ინჟინერიაში			+	+		+
19	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა			+	+		+
20	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა			+	+		+
21	სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა			+	+		+
22	სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	+		+			
23	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები			+	+		+
24	უცხო ენა	+	+		+		
25	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები			+	+		+
26	ტრასევა და ევრაზიის სატრანსპორტო სისტემები	+	+				
27	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მენეჯმენტი	+	+	+	+		
28	სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი	+	+		+		
29	ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები	+		+	+		

12. სასწავლო კურსების მოკლე აღწერა

სავალდებულო საგნები ყველა მოდულისათვის

უცხო ენა.

ენის სწავლების პრაქტიკულ კურსში მაგისტრანტის ლინგვისტური თუ მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს ლინგვისტური და კომუნიკაციური კომპეტენციების ფორმირებას. მაგისტრატურის ფარგლებში მოქმედი ზეპირი და წერიტი მეტყველების პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ენის ცოდნისა და უნარ ჩვევათა ისეთ დონეს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად, გამართულად და ფუნქციურად ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა.

ავტომატური დაგეგმვის სისტემები

კურსში შეისწავლება ავტომატიზირებული დაგეგმარების სისტემების (ადს) პრობლემები და პროექტირების ზოგადი პრინციპები, ადს-ების ორგანიზაციის თავისებურებანი. აგრეთვე განიხილება ადს-ის პროგრამული უზრუნველყოფის მეთოდები, მონაცემთა ბაზების პროექტირების საკითხები, ადს-ების გრაფიკული სისტემები.

მსოფლიო საინფორმაციო რესურსები.

საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემები. საინფორმაციო უზრუნველყოფის შემადგენლობა და მისი აგების თავისებურება. საინფორმაციო უზრუნველყოფის შემუშავების პრინციპები. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკაციის და კოდირების სისტემები. კლასიფიკატორის სისტემები. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების სახეები. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის ძირითადი კლასიფიკატორების კოდების სტრუქტურა და დახასიათება. კლასიფიკაციის და კოდირების ერთიანი სისტემის ცნება. ერთიანი საინფორმაციო ფონდის ფორმირება და წარმართვა. მონაცემთა ბანკების წარმართვის ორგანიზაცია. მონაცემთა ბანკები. ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის ცნება. ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის შენახვის ორგანიზაცია გამოთვლით ცენტრში. ინფორმაციის საიმედობის და შენახვის უზრუნველყოფა. ცოდნის ბაზები. საექსპერტო სისტემებში ცოდნათა ბაზების ორგანიზაციის პრინციპები.

პედაგოგიკა და ფსიქოლოგია

კურსში შეისწავლება პედაგოგიკის საფუძვლები და სასწავლო პროცესის ორგანიზაციისა და მართვის საკითხები. განიხილება ადამიანის ფსიქოლოგიის თავისებურებანი სასწავლო და საწარმოო პროცესებთან მიმართებაში

მათემატიკური მოდელირება ინჟინერიაში

კურსის მიზანია მაგისტრანტმა შეისწავლოს მათემატიკური მოდელირების ზოგადი პრინციპები და მიდგომა. მათემატიკური მოდელირების როლი მანქანა – დანადგარებში მიმდინარე დინამიკური პროცესების კვლევისათვის. ავტომობილის სადატვირთო რეჟიმების განსაზღვრის მეთოდები. ტრანსმისიაში მიმდინარე რხევითი პროცესების თავისებურებები სხვადასხვა კონსტრუქციული სქემის ტრანსმისიების საანგარიშო დინამიკური სქემების შედგენის მეთოდები. ტრანსმისიის მოდელირება. ტრანსმისიის სიხშირული ანალიზი. ტრანსმისიაში რხევითი პროცესების მახასიათებლების გაანგარიშების მეთოდები და დატვირთულობის შეფასება. დაკიდებაში მიმდინარე რხევითი პროცესების მოდელირება. რხევების გაანგარიშების მეთოდები და ავტომობილების სვლის სიმდოვრის შეფასება.

ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი

საინჟინრო პრაქტიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერიმენტს. მაგისტრანტი კურსის დამთავრების შემდეგ უნდა ფლობდეს ექსპერიმენტის ჩატარების ჩვევებს. კერძოდ მას უნდა შეეძლოს ანალიზურად გაიაზროს ექსპერიმენტი, იცოდეს რას უნდა მოელოდეს ექსპერიმენტისაგან, შეეძლოს ზუსტად შეარჩიოს ის დანადგარები მოწყობილობები, აგრეთვე მზომი ხელსაწყოები რომლებიც ექსპერიმენტის დროს დასჭირდება. მაგისტრანტს უნდა შეეძლოს ექსპერიმენტის დროს მიღებული შედეგების დამუშავება და მისი ღრმა ანალიზი რაც საშუალებას მისცემს განსაზღვროს რამდენად ეფექტურად იქნა ჩატარებული ექსპერიმენტი და აკმაყოფილებს მიღებული შედეგები თუ არა. არადაამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში მაგისტრანტმა ხელეხლა უნდა გაიზიაროს გადასაწყვეტი პრობლემა და სხვა კუთხით მიუდგეს საკის გადაწყვეტას.

მოდული 1. - მიწოდებათა ჯაჭვის მართვა

სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები.

ტრანსპორტის და ტექნიკური პროგრესის ურთიერთგავლენა თანამედროვე ეტაპზე. TRACEKA-ს პროექტი. ტვირთნაკადები. კასპიის რეგიონებიდან მსოფლიოს ბაზარზე ნავთობის გატანის ალტერნატიული მარშრუტები. სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სისტემების ძირითადი ცნებები. ტრანსპორტული რკინიგზების ცენტრალური, ჩრდილოეთის და სამხრეთის დერეფნები. სატრანსპორტო სისტემების მუშაობის და განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. საქართველოს, როგორც შუა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დასავლეთის პორტებთან დამაკავშირებელი საზღვაო ჭიშკარი. საწვავის ხარჯის შემცირების პირობები ტრანსპორტზე. მილსადენური ტრანსპორტი და მისი

თავისებურებები. ჩრდილოეთის ცენტრალური და სამხრეთის ტრასები. მილსადენური ტრანსპორტის პერსპექტივები.

სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი.

სატრანსპორტო მომსახურების ბაზრის ფორმირება. კონკურენცია-სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. რეკლამა – სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. ბიზნეს გეგმა. სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე მოქმედი ძირითადი პირები. საბაზრო კომბინაცია. საბაზრო გამოკვლევების საბაზისო პრინციპები.

მულტიმოდალური გადაზიდვები.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. სამხრეთ კავკასია როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხელსაყრელი კორიდორი. საქართველო და საერთაშორისო გადაზიდვების მარეგულირებელი ორგანიზაციები. შავი და კასპიის საბორნე გადასასვლელები. სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრები. მათი საქმიანობა სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე. ტვირთგამზავნები და ტვირთმიმღებები. ტვირთის ჩაბარების საშუალო სიჩქარე მულტიმოდალური გადაზიდვების დროს. ტვირთების გადაზიდვები გადატვირთების გარეშე. სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შედარებითი ლოჯისტიკური მახასიათებლები. მულტიმოდალური გადაზიდვები ტრანსპორტის არატრადიციული სახეობების გამოყენებით (დირიჟაბლი, საფრენი მოდული).

სატრანსპორტო ლოჯისტიკა.

ლოჯისტიკის როლი სატრანსპორტო გადაზიდვებით დასაქმებული ფირმების განვითარების საქმეში. მატერიალური ნაკადები და მათი პარამეტრები. ფინანსური ნაკადები. ინფორმაციული ნაკადები ლოჯისტიკაში. მომსახურებათა ნაკადები. ინტელექტუალური ნაკადები, როგორც ლოჯისტიკური აქტივობის ფუნდამენტალური მახასიათებლები. ლოჯისტიკური ოპერაციები და ფუნქციები. გადამზიდავი ფირმის ლოჯისტიკური გარემო. ლოჯისტიკური მენეჯმენტის როლი. ლოჯისტიკური მენეჯმენტის ურთიერთქმედება მარკეტინგზე. ლოჯისტიკის ურთიერთქმედება ბიზნესგარემოს სხვადასხვა სფეროებთან. ძირითადი ლოჯისტიკური კონცეფციები და სისტემები. ლოჯისტიკური კონცეფცია „ზუსტად დროში“. მიკროლოჯისტიკური სისტემა KANBAN. მულტიმოდალური გადაზიდვების პრინციპები, როგორც სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ეფექტური ურთიერთქმედების საფუძვლები. ინფორმაციული ინტეგრაცია (აუტსორსინგი) როგორც სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ლოჯისტიკური აქტივობის სახეები: მომარაგება; მარაგების მართვა; ტვირთგადამუშავება და დასაწყობება; გადაზიდვები. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: ტრანსპორტირების ფუნქციები და პრინციპები. ტრანსპორტის სახეები; ტრანსპორტის სახეების კლასიფიკაცია. სატრანსპორტო მომსახურების შემთავაზებლები; ერთი სახის

ტრანსპორტით გადამზიდავები; სპეციალიზირებული გადამზიდავები; შერეული გადამზიდავები. ტრანსპორტის რეგულირება: ეკონომიკური რეგულირება; უსაფრთხოება ტრანსპორტზე და საზოგადოების ინტერესების დაცვა; ტრანსპორტის ეკონომიკური რეგულირების მომავალი. ლოჯისტიკური სისტემების დაგეგმარება: ლოჯისტიკური რეინჟინერინგი; ლოჯისტიკური გარემოს შეფასება. ლოჯისტიკა რეალურ დროში: ლოჯისტიკის ორგანიზაციული პრინციპები - მოთხოვნისათვის მოცდა და პასუხი მოთხოვნაზე. ალტერნატიული ლოჯისტიკური სტრატეგიები. სტრატეგიული ინტეგრაცია. რეალურ დროში ლოჯისტიკის მართვის ტექნიკა.

აუტსორსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში.

კავშირგამბულობა და მისი როლი სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციაში. სატრანსპორტო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა; ტრანსპორტზე კავშირგამბულობის სისტემებისა და საშუალებების დანიშნულება, მათი დახასიათება; კავშირგამბულობის სხვადასხვა სისტემების გამოყენების სფეროები ტრანსპორტზე; საინფორმაციო ნაკადები სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში, მათი კავშირი გადაცემის, ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების გლობალურ სისტემასთან; მართვის ავტომატიზირებული სისტემა, როგორც მართვის პროცესების ოპტიმიზაციის ინსტრუმენტი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში; ტრანსპორტზე მ.ა.ს.-ის აგების სტრუქტურა და დონეები, მათი ფუნქციები; ოპერატიულ გადაწყვეტილებათა ეფექტური მიღების ალგორითმები. მ/ა/ს/ ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა; მონაცემების გადაცემის საფუძვლები; მონაცემთა ბაზების და ბანკების ცნება; მ.ა.ს. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების ურთიერთქმედებით.

მოდული 2. – ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები საგზაო მოძრაობაში

სამარშრუტო ორიენტირების სანავიგაციო სისტემები

სატრანსპორტო ნაკადების თეორია

საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო ნაკადების ფორმირების შემთხვევითი ხასიათი. მოძრაობის ინტენსივობის ცვლილებათა კანონზომიერება გზებზე დროის ერთეულებში და მისი პროგნოზირება; ავტომობილების ურთიერთქმედება ნაკადებში. სისტემური მიდგომა დაბალი სიმჭიდროვის ნაკადების მოძრაობის ამოცანების გადაწყვეტისას.

სატრანსპორტო ნაკადების აღწერა და მისი ურთიერთქმედება საგზაო პირობებთან და მოძრაობის მართვის საშუალებებთან. ამ პროცესის ასახსნელად გამოსაყენებელი შესაძლო მეთოდების ანალიზი, სერვომექანიზმების თეორია, მოდელირება.

განაწილების კანონის გამოყენება სატრანსპორტო ნაკადების თეორიაში. მასიური მომსახურების თეორიის გამოყენება სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ხასიათის შესაფასებლად. მჭიდრო ნაკადების მოძრაობის აღწერასთან დაკავშირებული თეორიული მიდგომის თავისებურებები.

სატრანსპორტო საშუალებათა კოლონების მდგრადი მოძრაობის არსი.

სატრანსპორტო საშუალებების ნაკადების მოდელირება სხვადასხვა საგზაო პირობების დროს. ნაკადების მოძრაობის იმიტაციური მოდელირების პროგრამა ეგმ-ზე გზების პროექტისა და მოძრაობის ორგანიზაციის საშუალებების ეფექტურობის კომპლექსური შეფასებისათვის.

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ძირითადი ტექნიკურ საშუალებათა შემოღებისა და მუშაობის ეფექტურობის შეფასება. მართვის ავტომატიზირებული სისტემის (მას) უპირატესი მნიშვნელობა და თეორიული საფუძვლები მისი დაპროექტების დროს.

საპროექტო სამუშაოებისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის ეფექტურობის შეფასება და ამ შეფასების კრიტერიუმების სისტემური ჩამოყალიბება.

საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება:

საქართველოს საგზაო ქსელის განვითარების პერსპექტივები ქვეყნისა და „ტრასეკას“ პროგრამის მიხედვით. უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) ხასიათი და საგზაო პირობების როლი უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფაში.

მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინება გზების პროექტირების ნორმებში. გზა-ძლოლი-ავტომობილის გავლენა მოძრაობის უსაფრთხოებაზე. საანგარიშო სიჩქარის და ინტენსივობის როლი მოძრაობის უსაფრთხოებაში.

გზის ცალკეული საშიში უბნების შეფასებისათვის შემოღებული ავარიულობის კოეფიციენტების, უსაფრთხოებისა და აჩქარების ხმაურის, საკონფლიქტო სიტუაციების მეთოდით.

საგზაო კვლევების ჩატარება მოძრაობის უსაფრთხოების შეფასების მიზნით.

საშიში ადგილების აღმოფხვრის ხერხები, პრინციპები და ეფექტურობა.

გზების შეკეთება-შენახვის მნიშვნელობა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ამინდის პირობების და ხილვადობის გავლენა მოძრაობის უსაფრთხოებაზე.

ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარების მნიშვნელობა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამაღლებაში. „ტრასეკას“ პროგრამის განხორციელება და მისი შესაძლო უარყოფითი მოვლენები.

მოძრაობის ავტომატიზირებული მართვა.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ავტომატიზირებული სისტემის თეორიული საფუძვლები კომპლექსურ სისტემაში „მძლოლი-ავტომობილი-გზა-გარემო“.

მოძრაობის მართვის თანამედროვე მეთოდები და სისტემები საავტომობილო გზებზე.

სატრანსპორტო ნაკადის პარამეტრებსა და მოძრაობის რეჟიმებზე ინფორმაციების შეკრების მეთოდები და ხერხები.

ინფორმაციების შეკრება საგზაო პარამეტრებსა და საფარის მდგომარეობაზე.

ინფორმაციების შეკრება მეტეოროლოგიურ პირობებზე, მისი გავლენა მოძრაობის რეჟიმსა და უსაფრთხოებაზე და მათი როლი მოძრაობის ორგანიზაციაში.

მოძრაობის მონაწილეებისათვის სამაუწყებლო მოწყობილობანი მოძრაობის რეჟიმებზე და მარშრუტებზე.

მოძრაობის დასაშვები სიჩქარეების განსაზღვრა გზებზე სხვადასხვა პირობებისათვის და სხვადასხვა ფაქტორების გავლენა მასზე.

მოძრაობის მართვის სტრატეგია გზებზე, მისი ამაღლების საშუალებები და როლი მოძრაობის ორგანიზაციასა და უსაფრთხოებაში.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების კომპლექსური ანალიზი

ექსპერტიზის მიზანი და ამოცანები; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღწერა; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ანალიზი; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სპეციალური ანალიზი. შემთხვევების კომპლექსური ინდექსი; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების კვლევა მათემატიკური მოდელირებით; სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების ეფექტურობის ტექნიკო-სამედიცინო-ეკონომიკური შეფასება; საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების კვლევის შედეგები.

საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე

კავშირგამბულობა და მისი როლი სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზაციაში. სატრანსპორტო პროცესის საინფორმაციო უზრუნველყოფა; ტრანსპორტზე კავშირგამბულობის სისტემებისა და საშუალებების დანიშნულება, მათი დახასიათება; კავშირგამბულობის სხვადასხვა სისტემების გამოყენების სფეროები ტრანსპორტზე; საინფორმაციო ნაკადები სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში, მათი კავშირი გადაცემის, ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების გლობალურ სისტემასთან; მართვის ავტომატიზირებული სისტემა, როგორც მართვის პროცესების ოპტიმიზაციის ინსტრუმენტი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში; ტრანსპორტზე მ.ა.ს.-ის აგების სტრუქტურა და დონეები, მათი ფუნქციები; ოპერატიულ გადაწყვეტილებათა ეფექტური მიღების ალგორითმები. მ/ა/ს/ ინფორმაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა; მონაცემების გადაცემის საფუძვლები; მონაცემთა ბაზების და ბანკების ცნება; მ.ა.ს. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეების ურთიერთქმედებით.

სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი

საგანში- სატრანსპორტო საშუალებების დიაგნოსტიკა და სერვისი -განიხილება დიაგნოსტიკის როლი სატრანსპორტო საშუალებებისა და სერვისული მომსახურების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებისას. მოცემულია სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები,

დიაგნოსტიკის და მომსახურების მეთოდები და საშუალებები. განხილულია მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების როლი დიაგნოსტიკის ავტომატიზაციის პროცესში. დადსაბუთებულია დიაგნოსტიკის ეფექტურობა სერვისული მომსახურების დროს. განხილულია სერვისული საწარმოების განვითარების ძირითადი ეტაპები და მიმართულებები, მანქანების საიმედოობისა და ხარისხის თეორიის საფუძვლები. ტექნიკური სერვისის ორგანიზაციის საკითხები, სარემონტო საწარმოების ორგანიზაცია, ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება და პროექტირება; ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიის საფუძვლები; სერვისული საწარმოების ატესტაცია და სერთიფიკაცია.

სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მენეჯმენტი

რეგიონალური სატრანსპორტო სისტემების ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვის და ორგანიზაციის ლოჯისტიკური კონცეფცია. რეგიონალური სატრანსპორტო სისტემის ლოჯისტიკური ორგანიზაციის კონცეფციის დასაბუთება.

სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემების კლასიფიკაცია სირთულის დონეების მიხედვით. სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემის ფუნქციონირების შეზღუდვები. სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემის მართვის საფუძვლები. სატრანსპორტო ლოჯისტიკური სისტემების მართვის ძირითადი პრინციპები. მართვის დონეები და ფუნქციები.

საქართველოს რეგიონალური სატრანსპორტო სისტემის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება

ტვირთვიდვის და მგზავრთნაკადების განაწილება სხვადასხვა სახის ტრანსპორტს შორის სატვირთო გადაზიდვების რაციონალიზაცია. სატრანსპორტო სისტემის ერთიანობა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ტექნოლოგიური ერთიანობა. სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ტექნიკური ურთიერთქმედება. სამრეწველო და მაგისტრალური ტრანსპორტის ურთიერთქმედება.

ტრასეკა და ევრაზიის ერთიანი სატრანსპორტო სისტემები

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის აღორძინების იდეა ახალი აზროვნების და ტრასეკას კონტექსტში. „ტრასეკას“ განვითარების პოლიტიკური და სატრანსპორტო-ეკონომიკური პერსპექტივები. საზოგადოებრივი წარმოება და ტრანსპორტი; სხვადასხვა სახის ტრანსპორტის კომპლექსური განვითარება. სატრანსპორტო საშუალებათა ახალი სახეები და განვითარების პერსპექტივები რეალურ ბიზნესგარემოში.

13. სილაბუსები

14. ინფორმაცია საგანმანათლებლო
პროგრამის განხორციელებისათვის
აუცილებელი ადამიანური და
მატერიალური რესურსის შესახებ.

15. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ

№	კურსის დასახელება	ლექტორის სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა/ ხარისხი
1	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები – I	ა.სამადალაშვილი	ასოც.პროფესორი
2	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური კომპლექსები - II	თ.კოჩაძე	სრული პროფესორი
3	სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი	ი.დანგაძე	აკადემიური დოქტორი
4	მულტიმოდალური გადაზიდვები	თ.კოჩაძე	სრული პროფესორი
5	სატრანსპორტო ლოჯისტიკა	თ.კოჩაძე	სრული პროფესორი
6	აუტოსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში – I	პ.გერაძე	ასოც.პროფესორი
7	აუტოსინგი სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ სისტემებში - II	პ.გერაძე	ასოც.პროფესორი
8	სამარშრუტო ორიენტირების სანავიგაციო სისტემები	გ.ლევკვიშვილი	ასოც.პროფესორი
9	სატრანსპორტო ნაკადების თეორია	ბ.ბობოხიძე	ასოც.პროფესორი
10	საგზაო მოძრაობის მოდელირება	ბ.ბობოხიძე	ასოც.პროფესორი
11	საგზაო პირობები და მოძრაობის უსაფრთხოება	ჯ.ჩოგოვაძე	ასოც.პროფესორი
12	მოძრაობის ავტომატიზირებული მართვა	ა.ლომიძე	ასისტ.პროფესორი
13	საგზაო სატრანსპ. შემთხვევების კომპლექს. ანალიზი	ბ.ბობოხიძე	ასოც.პროფესორი
14	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე – I	ა.ლომიძე	ასისტ.პროფესორი
15	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტრანსპორტზე - II	ა.ლომიძე	ასისტ.პროფესორი
16	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	ქ.ძოწენიძე	ასოც.პროფესორი
17	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	ო.კიკვიძე	სრული პროფესორი
18	მათ. მოდელირება ინჟინერიაში	ა.თვალჭრელიძე	სრული პროფესორი
19	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა	სამ.ხელმძღვანელი	
20	სამეცნიერო-პედაგოგიური პრაქტიკა	სამ.ხელმძღვანელი	
21	სამეცნიერო-კვლევ. (პროფეს) პრაქტიკა	სამ.ხელმძღვანელი	
22	სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება	ა.სამადალაშვილი	ასოც.პროფესორი
23	ავტომატიზირ. დაგეგმარების სისტემები	ო.ლომიძე	ასისტ.პროფესორი
24	უცხო ენა	ანა ფიფია	აკად.დოქტორი
25	მსოფლიოს საინფორმაციო რესურსები	დ.ზაუტაშვილი	ასოც.პროფესორი
26	ტრასეკა და ევრაზიის სატრანსპორტო სისტემები	ბ.ბობოხიძე	ასოც.პროფესორი
27	სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მენეჯმენტი	ი.დანგაძე	აკადემიური დოქტორი
28	სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკა და სერვისი	გ.ფურცხვანიძე	ასოც.პროფესორი
29	ტექნიკური შემოქმედება და ტექნიკური სისტემების განვითარების კანონები	მ.კოტიშაძე	ასოც.პროფესორი

16. ინფორმაცია აკადემიური პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
2. ტრანსპორტის სფეროში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი დამხმარე მეთოდური მასალები;
3. საინჟინრო-ტექნიკური მიმართულების (მათ შორის ტრანსპორტის) ტექნოლოგიური კაბინეტ-ლაბორატორიები;
4. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები;
5. მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი ტექნიკით გაწყობილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიები;
6. პროფესიული ინტერნეტ-საიტების გაცნობის, მიმოხილვის და ანალიზის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებული აკადემიური სტუდენტისათვის;

საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა:

საექსპლუატაციო პრაქტიკის ბაზებს წარმოადგენენ:

- კომპანია თეგეტა მოტორსი-ქუთაისი;
- შპს სოფმარი; (ქ.ფოთი)
- შპს ლოჯისტექსი; (ქ.ფოთი)
- შპს სოვტრანსავტო, (ქ.ფოთი)
- ქ.ბათუმის და ფოთის პორტები და ტერმინალები;
- კოპიტნარის აეროპორტი.

რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები და ხელშეკრულებები.